საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, მთელი მსოფლიოს პროგრესულმა კაცობრიობამ, ყველა კეთილი ნების ადამიანმა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის, თავისუფლების, ხალხთა თანამეგობრობისა და სოლიდარობის იდეალები, ზეიმით აღნიშნა 1 მაისის დღესასწაული.

მშრომელთა დემონსტრაციებმა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, ყველა ქალაქში, რაიონულ ცენტრში პარტიის გარშემო საბჭოთა ხალხის მჭიდრო დარაზმულობის, მომავლის დიადი გეგმების უთუო შესრულებისთვის, სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისთვის მზადყოფნის ნიშნით ჩაიარა.

მშვიდობის, შრომის, გაზაფხულის ზეიმი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 86
(6647)

4 1980 წ.
მაისი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპირველმაისო დემონსტრაცია მოსკოვის წითელ მოედანზე

ჩვენი ქვეყნის სადღესასწაულო, საპირველმაისო დილა განსაკუთრებული იყო: ალიონი წითელი სხივებით მოსავდა ქალაქების, დაბების მორთულ ქუჩებს, გიგანტურ ახალმშენებლობებს, წითელი ფერი — შთაგონებული შრომის სიხარულის სიმბოლო, რევოლუციისა და გამარჯვების სიმბოლო — სამშობლოს თვალუწვდენი სივრცეების მორთულობის მთავარი ფერი იყო.

წელს პირველმა მაისმა ესტაფეტა მიიღო მთელი პლანეტის შესანიშნავი დღესასწაულისაგან — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის დღესასწაულისაგან. საბჭოთა ხალხმა ეს თარიღი ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნა და კიდევ ერთი დამაჯერებელი ნაბიჯი გადადგა წინ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების იმ გრანდიოზული პროგრამის განხორციელების გზაზე, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ მეათე ხუთწლედისთვის დასახა.

წითელი მოედანი საზეიმოდ იყო მორთული სოლიდარობისა და შრომის საზეიმო მარშისთვის.

კრემლის კურანტებზე 9 საათი და 50 წუთია. მოედნის ქვაფენილი ერთბაშად თითქოს ცოცხალი ხალიჩით დაიფარაო: აავსეს მანიფესტაციის მონაწილეებმა.

საპატიო სტუმართა ტრიბუნებზე იყვნენ ლენინური პარტიის ვეტერანები, ოქტომბრის რევოლუციის მონაწილენი, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, გამოჩენილი მხედართმთავრები. მოწვეულთა შორის იყვნენ პირველი ხუთწლედის დამკვრელები და დღევანდელი გმირები — წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები.

სტუმართა შორის იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის პროფკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისთვის თვალსაჩინო მებრძოლები.

მოსკოვი. წითელ მოედანზე.

მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები მხურვალედ და გულითადად მიესალმნენ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნებზე ადიან ამხანაგები: **ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, მ. ს. გორბაჩოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი.**

ამ სადღესასწაულო დღეს საბჭოთა ხალხმა კვლავ დაადასტურა თავისი მონოლითური ერთიანობა ლენინის პარტიასთან, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. წარმატებით ისხამს ხორცს მშვიდობის ვრცელი, შორსმჭვრეტელი და რეალისტური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს, უწინარეს ყოვლისა, ხალხთა ერთობლივ ბრძოლას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისთვის, მსოფლიო რაკეტულ-ბირთვული ომის საფრთხის შემცირებისთვის.

მავზოლეუმს ჩაუარეს მანიფესტაციის მონაწილეებმა. პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის ახალი მკაფიო დადასტურება გახდა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო დემონსტრაცია. მან ცხადყო საბჭოთა ადამიანების მტკიცე გადაწყვეტილება, წარმატებით შეასრულონ 1980 წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებანი, ხორცი შეასხან სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ პროგრამას, ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნონ ჩვენი პარტიის მომავალი, XXVI ყრილობა. (საქინფორმი).

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საპირველმაისო დემონსტრაცია

მაისობის ნათელი, სასიხარულო დღესასწაულო იდგა საქართველოს მიწა-წყალზე. შრომისა და გაზაფხულის სადიდებლად, ხალხთა მეგობრობის სადიდებლად ფრიალებდა წითელი დროშები.

წლევანდელი პირველი მაისის დღესასწაული განსაკუთრებული იყო. მთელ ქვეყანასთან, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად რესპუბლიკის მშრომელებმა ეს-ეს არის აღნიშნეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის, პლანეტის უდიდესი ადამიანის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის დაბადების 110-ე წლისთავი...

რუსთაველის პროსპექტი თბილისელთა ტრადიციული სადღესასწაულო სვლის ადგილია. საქართველოს სსრ მთავრობის სახლთან აღმართულ ტრიბუნებზე იყვნენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების წარჩინებული ადამიანები, სახელოვანი მშრომელი გლეხობის წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, პარტიის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

დილის 10 საათია. ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მ. სირაძე**, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ვ. ი. ვადაჭკორია, ო. გ. ვარძელაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ი. ი. ქედიშვილი**, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გ. დ. გაბუნია.**

რუსთაველის პროსპექტზე ჩაიარეს რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა რაიონის მშრომელებმა.

ტრადიციისამებრ სადღესასწაულო დემონსტრაცია დაამთავრა ფიზკულტურელთა კოლონამ, ჩვენმა სპორტულმა ცვლამ. გაისმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდება: — ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო! ამრავლეთ საბჭოთა სპორტის დიდება, ბეჯითად ემზადეთ ოლიმპიადა-80-ისთვის!

მართლაც, წლევანდელი წელი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისთვის — ორთვენახევრის შემდეგ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში ოლიმპიური ასპარეზობა დაიწყება. ამ მოვლენისთვის ქართველი სპორტსმენებიც ენერგიულად ემზადებიან.

სადღესასწაულო საპირველმაისო დემონსტრაცია რამდენიმე საათს გაგრძელდა.



ფიზკულტურელები საპირველმაისო დემონსტრაციაზე.
ა. კოტორაშვილის ფოტოები.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

1980 წლის 19 აპრილს გაიმართა სრულიად საკავშირო კომუნისტური შაბათობა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს მიეძღვნა.

შაბათობაში მონაწილეობდა დაახლოებით 150 მილიონი კაცი, რომლებიც შრომობდნენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, მშენებლობაზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოებში, აგრეთვე ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაზე. მარტო სამრეწველო საწარმოებმა 842 მლნ მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. შაბათობის დროს დარიცხულმა ხელფასმა 178 მილიონი მანეთი შეადგინა.

სრულიად საკავშირო კომუნისტურმა შაბათობამ ახალი ძალით ცხადყო საბჭოთა ადამიანების მაღალი შეგნება და პატრიოტიზმი, მათი უსაზღვრო ერთგულება ლენინის კომუნისტური პარტიის საქმისადმი, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მხურვალე მისწრაფება ღირსეული წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში. შაბათობის დროს საბჭოთა ხალხის უხასყიდლო და თავდადებული შრომით გამოვლინდა სურვილი, ვადამდე შეასრულოს 1980 წლის სახელმწიფო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი, წარმატებით დაამთავროს მეათე ხუთწლედი და ახალი შრომითი გამარჯვებებით შეეგებოს სკკპ მომავალ XXVI ყრილობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითად მადლობას უძღვნიან მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, ომისა და შრომის ვეტერანებს, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს — ყველას, ვინც აქტიურად მონაწილეობდა კომუნისტურ შაბათობაში.

შაბათობის შედეგად მიღებული სახსრები მოხმარდება დედათა და ბავშვთა სანატორიუმების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობას და ომისა და შრომის ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღეა

●

სოციალისტური მშენებლობის იარაღი

„იყოს სოციალისტური მშენებლობის იარაღი!“ — ასე განსაზღვრა ვ. ი. ლენინმა პრესის როლი. ლენინური ტრადიციების ერთგული საბჭოთა პრესა საერთოპარტიულ, საერთოსახალხო საქმის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად გადაიქცა და მუდამ აქტიურ როლს ასრულებს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გასატარებლად.

დიდი ლენინის მიერ შექმნილი საბჭოთა პრესა ყველა სასიკეთო საქმის ორგანიზატორი და პროპაგანდისტია. მას უდიდესი წვლილი შეაქვს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტექნიკის, მეცნიერების მიღწევებში, მისი დადებითი გამოცდილების განზოგადებასა და ხარვეზების სააშკარაოზე გამოტანაში.

ასევე დიდია პრესის როლი ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვასა და აღმავლობაში, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებაში. ქვეყნის მრავალათასიანი სპორტული ჟურნალისტების არმიისთვის, ისე როგორც გაზეთების, ჟურნალების, რადიოს, ტელევიზიის, სტამბების, გამომცემლობების სხვა მუშაკებისთვის ბეჭდვითი სიტყვის დღესასწაული ლენინური ტრადიციებისადმი საბჭოთა ჟურნალისტების ერთგულების შემოწმებაა და ისინი არასოდეს ღალატობენ ამ ნდობას.

სპორტულ პრესას მრავალმილიონიანი აუდიტორია ჰყავს. ჩვენს ქვეყანაში 30-ზე მეტი დასახელების დიდი სპორტული გაზეთი და ჟურნალი გამოდის, რომელთა საერთო ტირაჟი 8 მილიონს უახლოვდება. აღარას ვამბობ სპორტულ დამატებებსა და ბიულეტენებზე.

ბეჭდვითი ორგანოების მუშაკებს მიაქვთ მართალი სიტყვა მკითხველამდე. ისინი კი ასეული მილიონია, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები რაზმავენ მშრომელებს ხუთწლიანი გეგმების შესრულებისთვის საბრძოლველად. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებს თავიანთი აუცილებელი წვლილი შეაქვთ ოლიმპიადა-80-ის მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარების საქმეში. ისინი ყველაფრით ეხმარებიან თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს, იბრძვიან კარტერის ანტიოლიმპიური პოლიტიკის წინააღმდეგ. პოლიტიკისა, რომელმაც სამწუხაროდ, თავის ორბიტაში რამდენიმე ქვეყნის უპრინციპო, უნებისყოფო მთავრობა მოაქცია.

საბჭოთა პრესა იყო და იქნება სიმართლის პრესა, რომელიც ძალ-ღონეს არ ზოგავს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის მართალი სიტყვის იდეების პროპაგანდისთვის.

საქართველოს პროფსაბჭოში

●

სიგელები ხელბურთელებს

სსრ კავშირის 1979-1980 წლების ჩემპიონატში წარმატებით გამოსვლისა და ბრინჯაოს მედლების მოპოვებისთვის თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელები და მათი მწვრთნელები დაჯილდოვდნენ საქართველოს პროფსაბჭოს საპატიო სიგელებით. 30 აპრილს ხელბურთელებს საპატიო სიგელები და ჯილდოები გადასცა პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **თ. მოსაშვილმა.**

დაჯილდოებულთა შორის არიან „ბურევესტნიკის“ მწვრთნელები გ. მაჭავარიანი და ა. ლელაშვილი, ხელბურთელები გ. და ვ. ბერიაშვილები, ა. ანპილოგოვი, ზ. დოლიძე, გ. ნარიმანიძე, ა. ტაბიძე, ჯ. დვალიშვილი, ა. კომახიძე, ჯ. ბარამიძე, ა. ნავროზაშვილი, ზ. კეკელიძე, ო. დვალიძე, ლ. აბესაძე, რ. ჩიბირაშვილი და გ. მამულაშვილი.

თ. მოსაშვილმა გუნდის წევრებს მიულოცა წარმატება და უსურვა მათ კვლავ სასახელოდ ესპარეზოთ მომავალ შეჯიბრებებში — ევროპის თასების მფლობელთა ტურნირში და სსრ კავშირის ჩემპიონატში.

„ჩვენი გამარჯვებისთვის!“

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ჩვენში: ყოველ ოთხ წელიწადში — ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადების წინ — „ტრუდის“, „კომსომოლსკაია პრავდასა“ და „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციები უშვებენ ერთობლივ სპეციალურ გაზეთს „ჩვენი გამარჯვებისთვის!“

ასე იყო მეხიკოსა და მიუნხენის, ინსბრუკისა და მონრეალის წინ. და აი საუკეთესო საბჭოთა ათლეტებისა და მწვრთნელების გაზეთი წლეულს კვლავ წარსდგა თავისი მკითხველების ლეიკ-პლესიდისა და მოსკოვის ოლიმპიადის მონაწილეების წინაშე.

გაზეთის ფურცლებზე შეხვდებით სახელოვან საბჭოთა კოსმონავტებს, შრომის მოწინავეებს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს, პოპულარულ მსახიობებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, იუმორისტებს, ოლიმპიურ ჩემპიონებსა და მომავალ ოლიმპიელებს. აქ ისტამბება საინტერესო მასალები, რომლებიც გაერთიანებულია რუბრიკებში „ოლიმპიური ხასიათი“, „რეპორტაჟი გუნდიდან“, „თაობათა ესტაფეტა“, „თქვენთვის, ოლიმპიელებო“, „მეტოქის პროფილი“ და სხვა.

გაზეთში გამოდიან ცნობილი მსახიობები ნიკოლოზ კრიუჩკოვი და გენადი ხაზანოვი, ოლიმპიური ჩემპიონები ლიდია სკობლიკოვა, ივანე ტრეგუბოვი, ლევ იაშინი, ალექსანდრე მედვედი, ვიქტორ კაპიტონოვი, ლიდია ალექსეევა, გენადი შატკოვი, თამარ პრესი, ვიქტორ ჩუკარინი, ანტონინა სერედინა, ვალერი ბორზოვი, ვიქტორ სანეევი...

ЗА НАШУ ПОБЕДУ!
ЗА НАШУ ПОБЕДУ!
РЕШАЮЩИЙ ЭТАП

„ლელოს“ მკითხველებს ვთავაზობთ ჩვენი თანამემამულის — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის **ვიქტორ სანეევის** ნაამბობს მეხიკოს, მიუნხენისა და მონრეალის განვლილ სტარტებზე.

ოლიმპიური პანორამა

მოსკოვის XXII ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 75 დღე!

წარმატების სამი ვარიანტი

ჩემს სპორტულ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს როცა ვიხსენებ, კვლავ და კვლავ ვუბრუნდები ძველ სამ მისამართს: მეხიკოს, მიუნხენსა და მონრეალს. ბოლო სამი ოლიმპიადის დედაქალაქებში დავტოვე გულის ნაწილები — დიახ, ეს ასეა, ვინაიდან ოლიმპიური თამაშების სარბიელზე მიღწეული ყოველი გამარჯვება არა მარტო დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვს, არამედ აუცილებელია დიდი სულიერი ცეცხლი...

მაშინ მეხიკოში ერთ ოთახში ვცხოვრობდით იმ დროისთვის უკვე სახელგანთქმული შუბის მტყორცნელი იანის ლუსისი და მე — ჯერაც უცნობი ახალბედა, ოლიმპიური დებიუტანტი, რომელიც მხოლოდ ერთი წლის წინ მოხვდა ნაკრებში. იანისი მორალურ პასუხისმგებლობას გრძნობდა ჩემს მიმართ და უფროს ძმასავით მეურვეობას მიწევდა, ზრუნავდა ჩემზე, მასწავლიდა. ახლა, ხანდახან მგონია, რომ მან ოქროს მედალი იმიტომაც მოიგო (ეს კი სამხტომის სექტორში ჩემს გამოსვლამდე ერთი დღის წინ მოხდა), რომ უნდოდა ჩემთვის მაგალითი მოეცა — თუ მე შევძელი, შენ რითი ხარ ჩემზე ნაკლებიო. ცუდად მეძინა სტარტის წინაღამეს, ლუსისის ტრიუმფზე, მის ჯილდოზე ვფიქრობდი და მეც ვოცნებობდი. დილით კი მტკიცე გადაწყვეტილებით ავდექი — უნდა გავიმარჯვო რადაც უნდა დამიჯდეს. დიახ, შევძელი თავის დარწმუნება, რომ მეტოქეებზე ძლიერი ვარ. „თუ ისინი 17 მეტრზე გადახტებიან, მე — 10 სმ-ით შორს, თუ ისინი — 17,40 მ-ზე, მე — 17,50-ზე — ვუნერგავდი საკუთარ თავს...“

ის, რაც რამდენიმე საათის შემდეგ მოხდა, ახლა დაუჯერებლად მეჩვენება. იმ დღეს ხუთმა მონაწილემ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, 16 კაცი გასცდა 17-მეტრიან ზღვარს. ასეთ იერიშს ვერ იწინასწარმეტყველებდნენ ყველაზე გაბედულებიც კი. გახსოვთ? იტალიელმა ჯენტილემ პირველმა გააოცა ყველა — 17,22 მ. მესამე ცდაზე ერთი სანტიმეტრით ვაჯობე მას, მაგრამ ბრაზილიელმა პრუდენსიომ ლიდერობა მაშინვე ამართვა — 17,27. ეჭვი მეპარებოდა თუ არა იმ დროს გამარჯვებაში? გულახდილად ვიტყვი, რომ არა. მხოლოდ ერთი რამის მეშინოდა — ფეხი არ დამედგა ხაზისთვის, ამიტომ გადავიტანე გარბენის სასტარტო წერტილი, მაგრამ ნახტომი არ გამომივიდა კარგი. კვლავ შევცვალე ადგილი. მეექვსე ცდა... უკანასკნელი შანსი. კვლავ ვიმეორებ: ვგრძნობდი, რომ აუცილებლად გამომივიდოდა ისე როგორც არასდროს. დავიწყე — სწრაფად, სწრაფად, ჰოპ! მეორე! მესამე! სტადიონი აგუგუნდა. ტაბლოზე გამოჩნდა — 17,39.

ასეთი იყო ჩემი 3 ოლიმპიური გამარჯვების პირველი ვარიანტი, სადაც ბოლო მომენტში შევძელი მიმავალი მატარებლის საფეხურზე შეხტომა. და ეს ყველაფერი ახალგაზრდობის, ძლიერი ფეხების, მაგარი ნერვების წყალობით. მაგრამ მთავარი მაინც საკუთარი ძალის რწმენა იყო...



მიუნხენში სულ სხვა როლში ჩავედი, ვიდრე ეს იყო ოთხი წლის წინათ. მეხიკოსა და მიუნხენს შორის პერიოდი ძალზე მძიმე იყო: მეტოქეებმა არაერთხელ მაჯობეს ისეთ დიდ ტურნირებში, როგორიცაა ევროპის ჩემპიონატი და კონტინენტის თასი. რუმინელმა კორბუმ, დრემელმა (გდრ) ისწავლეს ექსტრაკლასის შედეგებით მოგება. ახალგაზრდა კუბელმა პერეს-დუენასმა გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, რომელიც მე მეკუთვნოდა. თან გაუთავებელი ტრავმები მქონდა.

ერთი სიტყვით, ოლიმპიურ მიუნხენში დიდების შარავანდედით მოსილი არ ჩავსულვარ. ყველას როდი სჯეროდა ჩემი, მაგრამ მათ არ იცოდნენ, რომ წაგებიდან ერთი-ორი კვირის შემდეგ რევანშს ვიღებდი მთავარ მეტოქეებზე. წარუმატებლობა არ მაფრთხობდა. პირიქით, მაიძულებდა უფრო ენერგიულად მოვმზადებულიყავი ოლიმპიური სტარტებისთვის.

ვგრძნობდი, ვიცოდი, რომ უკეთეს ფორმაში ვიყავი, ვიდრე მეხიკოში. თან მიღებული მქონდა საკმაო სატურნირო გამოცდილება. მიზნად დავისახე პირველ ცდაზე, პირველ ნახტომზე გამომევლინებინა მთელი შესაძლებლობა, სექტორის საფარველი რბილი იყო. ესე იგი, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დააყრევინო ფარ-ხმალი მეტოქეებს.

გარბენი ზუსტად გამომივიდა. შევასრულე სამხტომი — 17,35 მ. შემდეგ ჩემმა ერთ-ერთმა მწვრთნელმა ვიტოლდ კრეერმა მითხრა, რომ არასოდეს უნახივარ ისეთი გააფთრებული, როგორიც ამ ნახტომის შესრულებისას.

მიუნხენში გამარჯვების მთავარ პირობად კვლავინდებურად რჩებოდა საკუთარი თავის, საკუთარი ძალების რწმენა, ის, რომ მეტოქეები უკან დაიხევენ, თუ იგრძნობენ, რომ შენ მათზე ძლიერი ხარ.

მონრეალში ყველგან თან მახლდა საპატიო, მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, სპორტსმენთათვის არცთუ საყვარელი ტიტული — „ვეტერანი“. ბრძოლის სარბიელზე გამოჩნდნენ ახალგაზრდები. ერთ-ერთმა მათგანმა — ბრაზილიელმა ოლივეირამ 1975 წელს გააუმჯობესა ჩემი ბოლო მსოფლიო რეკორდი, გააუმჯობესა და მერე როგორ! ერთბაშად 45 სმ-ით. მისი ფენომენალური მიღწევა — 17,89 მ სპეციალისტებმა სამართლიანად მიაკუთვნეს ბობი ბიმონის (890 სმ სიგრძეზე) ნახტომის კატეგორიას.

და აი, ჩვენ ერთმანეთს შევხვდით ბილიკზე... აქ კვლავ ვიტყვი: მთავარია დრამატულ წუთებში აღგზნება, „თავს ზემოთ გადახტომა“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქამდე მიყუჩებული არნახული ძალების გამონახვა, — ეს თვისება ძირითადში თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ მისი გამომუშავება შეიძლება, თუ სპორტსმენი მთლიანად შეისისხლხორცებს საყვარელ საქმეს. ეს თვისება ადამიანს მებრძოლად ხდის.

მესამე ცდის წინ ლიდერთა შორის ასეთი მდგომარეობა იყო: დუენასი — 16,81, ამერიკელი ბატსი — 16,79, სანეევი — 16,71, მესამე ცდაზე ოლივეირამ 16,85 აჩვენა. მე 17,06-ზე გადავხტი.

სტადიონზე ჩამომდგარი არაჩვეულებრივი სიცხე ენერგიას გვაცლიდა. სულ უფრო ძნელდებოდა ფინალისტთა ხტომები. და უცებ ბატსი წარმოუდგენელი ძალვით 17,18-ს აღწევს.

რა ვიგრძენი ამ დროს? დაბნეულობა? დაღლილობა? დაღლილობა კი, მაგრამ არა დაბნეულობა. ტრიბუნებზე მჯდომ ჩვენს მწვრთნელებს დავუყვირე: „ნახეთ, ახლა ყველა მათ ვაი-ვიშს ვაძახებინებ“. არაქათი აღარ მქონდა, მაგრამ იყო რაღაც სხვა — ნებისყოფა. და მე გადავხტი... 17,29 მ-ზე.

მეექვსე ცდა 8 ფინალისტიდან 5-სთვის უშედეგო იყო. თვალყურს ვადევნებდი მხოლოდ ოლივეირას — იგი 16,90 მ-ზე გადახტა და შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იგი 17,30-ზეც რომ გადამხტარიყო, უკანასკნელ შანსს გამოვიყენებდი და მაინც გავიმარჯვებდი.

ასეთი იყო ჩემპიონობის მესამე ვარიანტი.

ყველა ისინი, როგორც ხედავთ, სულაც არ ჰგავანან ერთმანეთს, მაგრამ სამივე შემთხვევაში მიხსნა და წარმატება მომიტანა საკუთარი ძალების რწმენამ.

თქვენც ერწმუნეთ საკუთარ თავს, 1980 წლის ოლიმპიელებო!

სპორტის სასარგებლოდ გადაწყვიტა

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დახურულ შენობაში ევროპის სამგზის ჩემპიონმა, ბირთვის კვრაში XXII ოლიმპიური თამაშების ჯილდოს ერთ-ერთმა პრეტენდენტმა ჯ. კეიპსმა თავი დაანება ბრიტანეთის პოლიციაში სამსახურს. იგი თვლის, რომ ეს საუკეთესო საშუალებაა მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად.

საქმე იმაშია, რომ ინგლისის კონსერვატულმა ხელისუფლებმა აკრძალეს სახელმწიფო მოსამსახურეებისთვის შვებულებების მიცემა ოლიმპიადის დღეებში და ამით სურთ გზა გადაუკეტონ ათლეტებს ჩაებან სპორტის მსოფლიო დღესასწაულში.

რეაქციული წრეების ცდა, ხელი შეუშალონ სპორტსმენებს იასპარეზონ მოსკოვის თამაშებში, სულ უფრო მზარდ პროტესტს იწვევს მსოფლიოში. „ოლიმპიადა — მშვიდობაა!“ ეს კარგად იციან კეთილი ნების ადამიანებმა, ამიტომაც შეუნელებლად მიისწრაფიან თავიანთი წვლილი შეიტანონ მის შემდგომ განმტკიცებაში. ამიტომაც გადაწყვიტა კეიპსმა სპორტის სასარგებლოდ დაეტოვებინა სამსახური.

35

დიდ სამამულო ომში გამარჯვების 35 წლისთავი

„კერკეტი კაკალი“

მგზავრობისას, როგორც წესი, უცნობები იოლად ამყარებენ კონტაქტს. ამინდზე რომ დაიწყებენ საუბარს, მერე ამ მთისა თუ იმ მთის ამბავს ჰყვებიან, ურთიერთს უზიარებენ აზრებს...

ამას წინათ, მგზავრობისას ერთი საინტერესო ადამიანი გავიცანი. ხელში გაზეთებთან ერთად პატარა წიგნიც ეკავა. „Непобежденный орешек“ —ეწერა წიგნს. დავინტერესდი და გამოვართვი. თავფურცელზე წავიკითხე:

„ძვირფას თანამებრძოლს, ლენინგრადისა და ჩვენი ქვეყნის უსაზღვროდ მამაც დამცველს სანდრო არონიშიძეს.

შენ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, სიცოცხლეს არ იშურებდი, რათა ციხე-სიმაგრე „კერკეტი კაკლის“ დაჭრილ თანამებრძოლთა სიცოცხლე გეხსნა. მადლიერებით გიხსენებენ ნაღმმტყორცნელები, რომელთაც ხელჩართულ ბრძოლის ხელოვნებას ასწავლიდი.

ციხე-სიმაგრე „კერკეტ კაკალში“ მეომარ ვეტერანთა საბჭოს წევრი, წიგნის შემდგენელი ვ. მ. ტრანკო“.

— ჩვენი ციხე-სიმაგრე კუნძულზე იყო, — მიამბობს არონიშიძე. — კუნძულს აღმოსავლეთიდან ლადოგის ტბა ესაზღვრებოდა, საიდანაც მდინარე ნევა იღებს სათავეს. ჩვენი კუნძულიც მის სათავესთანაა. აქ სამამულო ომის დროს დიდი ბრძოლები იყო. კუნძული ხელიდან ხელში გადადიოდა — ფრიად სტრატეგიული ადგილი გახლდათ. ლენინგრადის ბლოკადის დროს ფაშისტები კუნძულთან დიდძალ სამხედრო ტექნიკასა და ცოცხალ ძალას უყრიდნენ თავს. 43-ის იანვრამდე საბჭოთა მეომრები და ბალტიელი მეზღვაურები იცავდნენ ციხე-სიმაგრეს, რომელიც წითელი არმიისაგან მოწყვეტილი იყო. შლისელბურგსკის გარნიზონი ყველაფერს აკეთებდა, რათა ფაშისტებისათვის ხელი შეეშალათ ლადოგის ტბისა და ნევის ფორსირებისათვის ამ რაიონში. ეს კუნძული იმითაცაა ცნობილი, რომ მეფის რუსეთის დროს აქ „ნაროდნოვოლცები“ იყვნენ დაპატიმრებულნი. აქვე მოიყვანეს სისრულეში ლენინის ძმის სიკვდილის განაჩენი. მე კი ამ ადგილებში მივიღე პირველი საბრძოლო ნათლობა. ჩვენი ჯარების ორ შეტევაში ვმონაწილეობდი. მეორე იერიშისას თვითმფრინავის ბომბის ნამსხვრევით დავიჭერი. როცა გამოვჯანმრთელდი, სამედიცინო ინსტრუქტორად გამამწესეს. ბრძოლის ველიდან დაჭრილები გამომყავდა. გამოჯანმრთელებულ ჯარისკაცებს კი ხელჩართულ ბრძოლას ვასწავლიდი. როცა საბჭოთა ჯარებმა კუნძული საბოლოოდ ჩაიგდეს ხელში, ამის მერე ლენინგრადმა ცოტა ამოისუნთქა. ბლოკადა ნაწილობრივ მოიხსნა. მოსკოვი და ლენინგრადი ერთმანეთს კვლავ დაუკავშირდა რკინიგზით. ასე დამთავრდა კუნძულისთვის ჩვენი ხუთასდღიანი ბრძოლა. დიდი ენერგია დაიხარჯა და ძალის მოსაკრებად ფრონტის ხაზიდან გამოგვიყვანეს, რომელმაც 14 კილომეტრით უკან დაიხია...

• • •

კუნძულის ქართველმა დამცველმა კიდევ ბევრი საინტერესო რამ გაიხსენა თავისი საბრძოლო ეპიზოდებიდან. დრო და დრო ნათქვამის საილუსტრაციოდ, წიგნის ცალკეულ გვერდებს მაკითხებდა, მაგრამ როგორც „ლელოს“ თანამშრომელსა და სპორტის მოყვარულს ისეთი ამბებიც მიამბო, რომლებსაც გარკვეულ წილად ფიზკულტურასა და სპორტთან ჰქონდა კავშირი. აი რამდენიმე მაგალითიც:

— ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ ხუთ მებრძოლს მოენის შეპყრობა და მოყვანა უბრძანეს. ისინიც ბრძანების შესასრულებლად წავიდნენ. ღამე იყო. კარგა ხანს უთვალთვალეს ერთ ახმახ გერმანელს, რომელიც წინ და უკან დადიოდა. ქამარში რევოლვერი ჰქონდა გარჭობილი. ჩვენებმა დრო რომ იხელთეს, ერთ-ერთი სამალავიდან ამოხტა, პირდაპირ გერმანელისაკენ გაქანდა და თავი მუცელში აძგერა. გერმანელი უსულოსავით გაგორდა და გაიშოტა. მერე ყველანი ერთად დაეხვივნენ და გათოკვა დაუწყეს. მოულოდნელად გერმანელმა „სული მოითქვა, თავი გაითავისუფლა და ატყდა მუშტი-კრივი. გერმანელი იარაღს არ ხმარობდა, არც მშველელს უხმობდა. ის ტიალი ჯანმაგარი გამოდგა და ერთ-ერთი ჩვენი ჯარისკაცის კონდახი რომ არა, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ბრძოლა. მეთაურებთან რომ მიათრიეს, რიგიანად მაშინღა შეათვალიერეს. მაღალი და მხარბეჭიანი იყო. ფაშისტების უმაღლესი ჯილდო — რკინის ჯვარი ეკიდა. მკერდზე კიდევ რაღაც ნიშანი ჰქონდა. ეგ რა ნიშანიაო, ჰკითხეს. ცრემლები წამოსცვივდა და... პრუსიის ჩემპიონი ვარ მძიმე წონის მოკრივეთა შორის. ვიფიქრე, ამათ უიარაღოდ და სხვების დაუხმარებლადაც გავუმკლავდებოდი, მაგრამ შევცდიო. კრივში დაოსტატებულ პრუსიის ჩემპიონს მართლაც უშველიდა თავისი მუშტის ძალა, ჩვენებს რიცხობრივი უპირატესობა რომ არ ჰქონოდათ. მე კი ბევრჯერ გამომადგა ფიზკულტურასა და სპორტში ვარჯიში. ომამდე ტანმოვარჯიშე ვიყავი. ჩვენი სახელოვანი გიორგი ეგნატაშვილის სკოლა გავიარე. მერე ფიზკულტურის მასწავლებლად ვმუშაობდი თბილისსა და სოხუმში. ომი რომ დაიწყო, პირველი ზამთრის დამდეგს რუსებმა მითხრეს, სამხრეთელი და ისიც შენისთანა გახხიკული კაცი ჩვენს ზამთარს ვერ გაუძლებსო. მე კი მართლაც „კერკეტი კაკალი“ გამოვდექი. სხვებზე უკეთ თუ არა, არც ნაკლებად გადამიტანია ომის არც პირველი და არც დანარჩენი ზამთარი. ფეხში რომ დავიჭერი, მალე გამოჯანმრთელებაში ჯანსაღმა სხეულმაც შემიწყო ხელი. ლენინგრადის ბლოკადის შემდეგ კი ჩემს ცოდნას ჰოსპიტალში ვიყენებდი, სადაც სამკურნალო ფიზკულტურის დარგში ვმსახურობდი. იქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფიზკულტურული ქალაქიც მოვაწყე.

სანდრო არონიშიძეს დიდი ბრძოლები გადახდენია თავს: ჩეხოსლოვაკიაში და [illegible]. იაპონელთა წინააღმდეგ [illegible].

ახლა მას დიდ სამამულო ომში დამსახურებული წითელი ვარსკვლავის ორდენი და 11 მედალი უმშვენებს მკერდს. პენსიაზეა, მაგრამ ფიზკულტურულ და სპორტულ მოღვაწეობას ვერ ელევა. ჭადრაკში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯია, სოხუმის მახლობლად დაბა დრანდაში პიონერთა სახლის მოჭადრაკეთა სექციას ხელმძღვანელობს.

მაშინ, ჩვენი მგზავრობის დასასრულს, დიდი სამამულო ომის ვეტერანს დავპირდი, რომ თქვენს შესახებ „ლელოს“ მკითხველებს უთუოდ მოვუთხრობ-მეთქი. ეგ იქით იყოს და, რახან ასეა, ერთი კეთილი საქმის გაკეთება შეგიძლიათო, მიპასუხა. მერე კვლავ თავისი წიგნი გადამიშალა და ერთი ქართველი მეომრის დაღუპვის ამბავი წამაკითხა. პოდპოლკოვნიკი მარკ ომელჩუკი იმ ქართველ ჯარისკაცს წიგნში გურამ ობულაძედ იხსენებდა.

ჩემი თანამგზავრის აზრით გურამის გვარი არასწორადაა მოხსენებული. იგი ან აბულაძე უნდა იყოს, ან ობოლაძე.

ჩვენ ერთ რაიონში ვიბრძოდით, თუმცა ერთმანეთს კი არ ვიცნობდით. ვინ იცის, იქნებ მისმა ახლობლებმა არც კი იციან თუ სადაა გურამი დასაფლავებული. იგი კუნძულზე მიაბარეს მიწას. ასე, 25 წლის საშუალო სიმაღლისა ყოფილა, კეხიანი ცხვირით. თუ თქვენი წერილი გამოქვეყნდება, იქნებ ესეც მოუთხროთ მკითხველს. ალბათ ვინმეს დააინტერესებს გურამ ობულაძის ვინაობა. თუ ეს ასე მოხდა, იქნებ ჩემი მისამართიც გამოაქვეყნოთ: სოხუმი 384904, მიჩურინის ჩიხი № 5. არონიშიძე სანდრო.

ა. გურასაშვილი.

• • •

სურათზე: ს. არონიშიძე.

● ფეხბურთი

43

სსრ კავშირის ჩემპიონატი

მატჩი ოდესაში

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი გუშინ ჰქონდათ ოდესაში ადგილობრივ „ჩერნომორეცთან“.

თამაში დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით — 1:0.

სათადარიგოთა მატჩი დამთავრდა ფრედ— 1:1.

უმაღლესი ლიგა

2 და 3 მაისს გაიმართა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები:

„დინამო“ მ. —
„ლოკომოტივი“ 0:1

„ზენიტი“ —
ასკ 2:0

„ნეფთჩი“ —
„ფახთაქორი“ 2:2

„არარატი“ —
„შახტიორი“ 2:1

„ქაირათი“ —
„დინამო“ კ. 2:2

„კარპატი“ —
„დინამო“ მნ. 1:0

„სპარტაკი“ —
„ტორპედო“ 1:0

ცსკა —
„კუბანი“ 0:0

I ლიგა

2 მაისს გაიმართა I ლიგის გუნდების სსრ კავშირის საფეხბურთო გათამაშების VIII ტურის მატჩები.

საქართველოს წარმომადგენლები — ქუთაისის „ტორპედო“ და ლანჩხუთის „გურია“ თამაშობდნენ სტუმრად, „ტორპედო“ — კემეროვოში „კუზბასთან“, ხოლო „გურია“ ხაბაროვსკში — არმიელებთან. ორივე ჩვენმა გუნდმა მარცხი იწვნია ერთნაირი ანგარიშით — 0:1.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 0:0, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 1:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:0, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 0:2, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ბუსტონი“ (ჯიზაკი) 1:0, „სპარტაკი“ (ივანოფრანკოვსკი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 1:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 1:0, ასკ (ოდესა) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:0.

ნინ ფინალი.ა

30 აპრილს ბელგრადში გაიმართა ევროპის ახალგაზრდული საფეხბურთო ჩემპიონატის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებსაც პირველი შეხვედრაც მოგებული ჰქონდათ (3:0), კვლავ წარმატებით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0 (0:0). ეს ერთადერთი ბურთი იუგოსლაველთა კარში შენგელიამ გაიტანა 71-ე წუთზე.

საბჭოთა ნაკრები გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში, სადაც მისი მეტოქე იქნება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი.

II ლიგა

2 მაისს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

„დინამო“ (ბათუმი) —
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)
0:1 (0:0)

ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც ბათუმელთა შემადგენლობიდან რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გადავიდა თბილისის „დინამოში“, გუნდის მაჩვენებლები ლიგაში გაუარესდა და ეს ბუნებრივი მოვლენაა. ახლა ბათუმის „დინამოში“ მოწვეულია რამდენიმე ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელი, რომელთა ენერგიული, მონდომებული თამაში იმედს იძლევა, რომ კოლექტივი კვლავ დაიბრუნებს ადრინდელ სახეს.

დინამოელებს ამ მატჩისთვის სულ 1 ქულა ჰქონდათ აქტივში, სამტრედიის „ლოკომოტივი“ კი გათამაშების ლიდერი იყო. თამაში დაიწყო ორმხრივი იერიშებით, ორივე გუნდის მეკარეებს — ბალაძეს („დინამო“) და მესხიას („ლოკომოტივი“) დიდი დატვირთვის გადატანა მოუხდათ. შემდგომში ბალაძე შეცვალა ჯერ სრულიად ახალგაზრდა კვირკველიამ და მანაც საერთო მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებით სახიფათო იყო მომენტი ბეჟანიძისა და გორგილაძის მიერ გათამაშებული კომბინაციის შემდეგ, მაგრამ მესხიამ შეძლო ძნელი ბურთის აღება.

კიდევ უფრო გამწვავდა თამაში შესვენების შემდეგ, ლოკომოტიველთა კართან შექმნილი სახიფათო მომენტი ვერ გამოიყენა ვასაძემ.

მიმდინარეობდა შეხვედრის 75-ე წუთი, როცა სამტრედიელები სწრაფად გადავიდნენ საპასუხო იერიშზე და ძაგნიძემ ზუსტი დარტყმით აიღო მეტოქის კარი. ეს გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ მატჩში.

ბათუმის „დინამო“ ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ბალაძე (კვირკველია), გოგიტიძე, ბოხუა, ვოლკოვი, ხაჩიძე, ჩიქოვანი (მენაბდე), ხაჩატურიანი, ვასაძე, ბეჟანიძე, გორგილაძე, მარტიაშვილი (ჩაჩავა).

ო. მურვანიძე.

„დინამო“ (ზუგდიდი) —
„მეტალურგი“ (რუსთავი)
1:0 (1:0)

სტუმრების დაცვამ ორგანიზებული წინააღმდეგობა გაუწია დინამოელთა ხშირ იერიშებს. ბურთის გატანის შესაძლებლობები ჰქონდათ ნაჭყებიას, თუთბერიძეს, კვარაცხელიას, მაგრამ ისინი არ იქნა გამოყენებული. ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ერთ-ერთი შეტევა დამთავრდა ნაჭყებიას მიერ „მეტალურგის“ კარში გატანილი გოლით — 1:0.

მეორე ტაიმში გახშირდა „მეტალურგის“ კონტრიერიშები და თამაშსაც გარდამავალი ხასიათი მიეცა. შუა ტაიმში ზუგდიდელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, მატჩის დასასრული კი კვლავ რუსთაველთა უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა ცვლილების შეტანა ანგარიშში ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო.

ზუგდიდის „დინამოს“ შემადგენლობაში თამაშობდნენ: დანელია, ჩიჩუა, ანტოსიევი, გვრიტიშვილი, ახალაია, მოსიავა, ჩიხლაძე, გულორდავა (ნატროშვილი), ნაჭყებია, თუთბერიძე, კვარაცხელია.

ბ. ალშიბაია.

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

ფეხბურთში ევროპის საკლუბო თასების გათამაშებათა ცნობაში არ იყო გამოცხადებული უეფა-ს თასის ნახევარფინალურ შეხვედრათა შედეგები.

სტატისტიკის მოყვარულებს ვთავაზობთ ამ შედეგებს (ნახევარფინალებში მონაწილეობდნენ მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები).

მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტმა“, რომელსაც პირველი მატჩი მიუნხენის „ბაიერნთან“ წაგებული ჰქონდა ანგარიშით 0:2, შინ რევანში აიღო ანგარიშით 5:1. ასევე მოხდა მიონხენგლადბახის „ბორუსიასა“ და „შტუტგარტის“ შეხვედრაში. პირველ წრეში განცდილი მარცხის შემდეგ (1:2) „ბორუსიამ“ მეტოქე დაამარცხა ანგარიშით 2:0.

7 და 21 მაისს. ფინალში ითამაშებენ „აინტრაჰტი“ და „ბორუსია“.

თანაქალაქელის ხსოვნას მიეძღვნა

„ლოკომოტივის“ სპორტდარბაზში მოეწყო შეჯიბრება მინიფეხბურთში დიდ სამამულო ომში დაღუპული სამტრედიელი ფეხბურთელის ა. ისლანდიევის სახელობის გარდამავალ თასზე. ასპარეზობაში მონაწილეობდა სამტრედიის რკინიგზის საწარმო-დაწესებულებათა 7 გუნდი.

ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს შენობა-ნაგებობათა დისტანციისა და ელექტრომომარაგების უბნის კოლექტივებმა. დამატებითი შეხვედრა ამ გუნდებს შორის დამთავრდა შენობა-ნაგებობათა დისტანციის ფეხბურთელების გამარჯვებით, რომლებმაც მოიპოვეს თასი.

ი. ნიკოლეიშვილი.
(ჩვენი კორ.).

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა მოზარდთა შორის. 4 მაისი. „ავაზას“ სტადიონი. **„ავაზა“ (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი).** დასაწყისი 12 ს., დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„განთიადი“ (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი).** 17 ს., 30 წთ. მაუდკამვოლის კომბინატის სტადიონი. **„განათლება“ (თბილისი) — „შრომითი რეზერვები“ (თბილისი).** 18 ს.

● ჭადრაკი

1 მაისს იუგოსლავიიდან თბილისში დაბრუნდნენ ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში გამარჯვებული საერთაშორისო ოსტატი ნანა იოსელიანი და მისი კონსულტანტი ამ ორთაბრძოლაში დიდოსტატი ბ. გურგენიძე. ცნობილ მოჭადრაკე ქალს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ქართული ჭადრაკის მესვეურებმა, საზოგადოებრიობამ.

* * *

სურათზე: დიდოსტატი ბ. გურგენიძე (მარცხნივ) და ნანა იოსელიანი თბილისის აეროპორტში.

თ. ქიქავას ფოტო.

მხოლოდ გამარჯვება

ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში ბ. სპასკი (სსრ კავშირი) — ლ. პორტიში (უნგრეთი) შორის, რომელიც მექსიკაში ტარდება, 30 აპრილს XIII პარტია გათამაშდა. მეტოქენი მე-15 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 6,5:6,5, სათამაშოა მხოლოდ XIV პარტია. მატჩის ყაიმით (7:7) დამთავრების შემთხვევაში, ნახევარფინალში გავა პორტიში (მას შავი ფერის ფიგურებით მოგება აქვს).

საინტერესო ნაშრომი

საჭადრაკო ეტიუდის მოყვარულებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: კიევში გამოიცა ცნობილი საბჭოთა ეტიუდისტის, ოსტატ **ფ. ბონდარენკოს** ახალი წიგნი **„საჭადრაკო ეტიუდის ჩამოყალიბება“** (რუსულ ენაზე).

ნაშრომში განხილულია საჭადრაკო ეტიუდის განვითარების ისტორია XIX საუკუნის მიწურულამდე. წიგნის თხრობა ძველი არაბული მანსუბებით იწყება. შემდეგ ავტორი მიმოიხილავს დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა შემოქმედებას, ბოლოს გაანალიზებულია საბჭოთა საეტიუდო ხელოვნების ფუძემდებლის ა. ტროიცკის ადრეული შემოქმედება.

წიგნში სისტემატიზებული და კომენტირებულია სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის ეტიუდისტის 273 ნაწარმოები. მათ შორისაა ისეთებიც, რომლებიც საჭადრაკო ეტიუდის განვითარების გარიჟრაჟზე შეიქმნა, მაგრამ დღესაც გვხიბლავენ თავიანთი მოხდენილი ფორმით და დახვეწილობით. სწორედ ასეთია დანიელი კომპოზიტორის ი. იესპერსენის ეტიუდი, რომლის ამოხსნას მკითხველს ვთავაზობთ. ეტიუდი ელემენტარული პატით მთავრდება.



თეთრები ყაიმს აღწევენ.

ვ. კალანდაძე,
საჭადრაკო ეტიუდისტი.

ქრონიკა

● ძალოსნობა

მძიმე შტანგა

იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში, „პინკის“ სპორტის სახლში გრძელდება ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი. 75 კგ წონის ათლეტთა შეჯიბრებაში თავი ისახელა 19 წლის ბულგარელმა ა. ზლატევმა, რომელმაც 2 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამასთან, იუნიორებისა და მოზრდილების 2-2 მსოფლიო რეკორდი დაამყარა — აკვრასა და ორჭიდში. საბოლოოდ მან 355 კგ მოაგროვა (157,5 + 197,5). ვერცხლი ერგო მის თანაგუნდელს ნ. კოლევს — 347,5 კგ, ბრინჯაო — ა. პერვის (სსრკ) — 347,5.

82,5 კგ წონის ათლეტებში ჩემპიონი გახდა 23 წლის ლენინაკანელი ი. ვარდანიანი. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ამჯერად 367,5 კგ მოაგროვა ორჭიდში და 22,5 კგ-ით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული დ. ბლაშე (გდრ). მესამე ადგილი ერგო ხ. აპელს (გფრ) — 342,5.

ვარდანიანმა მცირე ოქროს მედლები მოიპოვა აგრეთვე ატაცსა და აკვრაში.

ბულგარელი სპორტსმენის გამარჯვებით დამთავრდა 90 კგ წონის ძალოსანთა შეჯიბრება. რ. ალექსანდროვმა პირველად დაისაკუთრა კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედალი — ორჭიდში 390 კგ აჩვენა. მასვე დარჩა მცირე ოქროს მედლები ატაცსა და აკვრაში. საბჭოთა სპორტსმენებმა — ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. შარიიმ და მსოფლიოს ჩემპიონმა გ. ბესონოვმა მასთან 7,5 კგ წააგეს. შარიი ბესონოვზე უფრო მსუბუქი აღმოჩნდა და ვერცხლის მედალიც მან მიიღო.

გუშინ ფიცარნაგზე გამოვიდნენ 100 კგ-მდე წონის სპორტსმენები. ევროპის ჩემპიონობა მეცხრედ მოიგო საბჭოთა ათლეტმა დ. რიგერტმა, რომელმაც ორჭიდში 387,5 კგ მოაგროვა. დამატებით ცდაზე მან 181 კგ აიტაცა და მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მ. ჰემიგი (გდრ) — 372,5 და პ. ასპარუხოვი (ბულგარეთი) — 370.

● ველოსპორტი

მთავარი პრიზი — საბჭოთა ნაკრებს

იტალიის გზებზე დამთავრდა ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლა „ჯირო დელე რეჯიონი“. გუნდურ ჩათვლაში მთავარი პრიზი მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა. მან მეორე ადგილზე გასულ იტალიის კოლექტივს 11 წუთით აჯობა. ბოლო, მეექვსე ეტაპზე (111 კმ) I ადგილი დაიკავა პოლონელმა ტ. ვოიტასმა — 2:30.10. საერთო ჩათვლაში უძლიერესის სახელი ერგო იტალიელ ა. მინოტის. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესომ, ა. გუსიატნიკოვმა მეოთხე შედეგი აჩვენა.

● წყალბურთი

მეორედ

„უნგრეთის თასის“ საერთაშორისო გათამაშება წყალბურთში, რომელიც ბუდაპეშტში დამთავრდა, მოიგეს იუგოსლაველმა სპორტსმენებმა — 9 ქულა. ამ შეჯიბრებაში შარშანაც იუგოსლაველებმა იმარჯვეს. ამჯერად ტურნირში მონაწილეობდნენ ის გუნდები, რომლებსაც მოსკოვის ოლიმპიადაში გამოსვლის უფლება გარანტირებული აქვთ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ უნგრეთის, აშშ-ს, გფრ-ს, რუმინეთისა და იტალიის სპორტსმენები.

● კალათბურთი

აქაც პირველი

სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ესპანეთის ქალაქ პალმა-დე-მალიორკაში გამართული ტურნირის მოგების შემდეგ ამავე ქვეყნის მეორე ქალაქ კორუნაშიც იმარჯვა — აქ ჩატარებულ საერთაშორისო ასპარეზობის ბოლო შეხვედრაში მოუგო მასპინძელთა გუნდს (100:83) და კვლავ უძლიერესის სახელი დაიმკვიდრა. ამ მატჩში თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს მიშკინმა და ტკაჩენკომ—26 და 22 ქულა შესაბამისად.

მეორე ადგილისთვის იტალიის ნაკრებმა დაამარცხა საფრანგეთის კალათბურთელები — 93:69. ეს ტურნირი იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის სპორტსმენებისთვის ბოლო რეპეტიცია იყო ოლიმპიური შესარჩევი ასპარეზობის წინ, რომელიც 5 მაისს შვეიცარიაში დაიწყება.

● ტანვარჯიში

მეოთხედი ბალით

ლიონში (საფრანგეთი) დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში ქალიშვილთა შორის. მრავალჭიდში ოქროს მედალი მოიპოვა რუმინელმა ე. საბომ, რომელმაც 38,75 ბალი მოაგროვა. მას 0,25 ბალით ჩამორჩა საბჭოთა ნაკრების წევრი გ. იონასი და ვერცხლის მედალი მიიღო. მესამე ადგილზე გავიდა რუმინელი ლ. აგაშე.

● მძლეოსნობა

მეოთხე ცდაზე

იუგოსლავიის ქალაქ სპლიტში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ქალთა შორის შუბის ტყორცნაში შესანიშნავ შედეგს მიაღწია მსოფლიოს რეკორდსმენმა რ. ფუქსმა (გდრ)— მეოთხე ცდაზე 69,96 მ აჩვენა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

სანტიმეტრით

საფრანგეთის ქალაქ ლიბურნში გამართულ ასპარეზობაზე 20 წლის მასპინძელმა ტ. ვინერონმა ჭოკით 567 სმ სიმაღლე დაძლია და სანტიმეტრით გააუმჯობესა კონტინენტის რეკორდი, რომელიც 1977 წლიდან პოლონელ ვ. კოზაკევიჩს ეკუთვნოდა.

ნარმატებით დაიწყეს

სოჩში ჩატარდა რსფსრ-ს თასის გათამაშება. ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში რესპუბლიკის რეკორდი დაამყარა კრასნოდარელმა გ. სავინკოვამ — 66,66 მ. 8 სპორტსმენმა გადალახა 70-მეტრიანი ზღვარი უროს ტყორცნაში. პირველობა მოიგო ს. ლიტვინოვმა — 77,52 მ. 400 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს რეკორდსმენმა, ბრიანსკელმა მ. მაკეევამ მისთვის ახალ დისტანციაზე — 800 მეტრზე სცადა ძალა და პირველობაც მოიგო — 2.02,2. ეს წლეულს საუკეთესო შედეგია სსრ კავშირში.

პელე და მენოტი...

ფეხბურთის ამ ორი გრანდის დიალოგი გამოაქვეყნა არგენტინულმა სპორტულმა ჟურნალმა „ელ გრაფიკომ“. გთავაზობთ მას მცირეოდენი შემოკლებით.

მენოტი: პელე რომ გავიცანი, „რესინგში“ ვთამაშობდი. ვხვდებოდით „სანტოსს“. წავაგეთ 1:2. იმ დღეს პელემ პენალტი გააფუჭა. საღამოს, ვახშმობისას, ერთმანეთს გამოველაპარაკეთ.

პელე: არგენტინაში თვრამეტი წლიდან დავდივარ და ეს ქვეყანა სულ უფრო და უფრო მხიბლავს.

მენოტი: „სანტოსის“ საქმეები როგორ მიდის?

პელე: „სანტოსს“ საკვირველი რამ დაემართა: გუნდმა თამაში რომ უკლო, რამდენიმე ვითომ წამყვანი მოთამაშე ახალგაზრდებით შეცვალა. გუნდმა თამაში გააუმჯობესა და გასულ წელს ჩემპიონობაც კი მოიპოვა.

ერთმანეთის შესახებ

პელე: ხშირად მითქვამს, რომ მენოტის ესმის სამხრეთამერიკული ფეხბურთის ფილოსოფია.

მენოტი: პელე საუკუნის ადამიანია. იგი ფეხბურთში იგივეა, რაც მუსიკაში ბეთჰოვენი.

თემა — მარადონა

პელე: ახალგზრდებს ვნებს გადაჭარბებული ქება. მოწინაალმდეგე გუნდების მწვრთნელები მათ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ და სპეციალურ დარაჯებსაც მიუჩენენ ხოლმე. ეს უკანასკნელნი კი უხეშობას არ ერიდებიან. ამ თემაზე ველაპარაკე მარადონას, როცა რიოში მესტუმრა. რამდენიმე პრაქტიკული რჩევაც მივეცი, თუ როგორ დაეცვა საკუთარი ფეხი მოწინააღმდეგის ფეხებისგან. ისიც ვუთხარი, თავს ნურავის დააჩაგვრინებ-მეთქი.

მენოტი: მარადონა ბოლო დროის ყველაზე დიდი აღმოჩენაა, მაგრამ იმასაც დავუმატებ, რომ პელედ რომ იქცეს, ჯერ 1500 გოლი უნდა გაიტანოს და 3 მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვოს, თუმცა პელეს ყველაზე მეტად სწორედ იგი ჰგავს.

პელე: გეთანხმები იმაში, რომ გაზვიადებული შედარებები მხოლოდ ზიანს აყენებს ფეხბურთელს. რაღა შორს წავიდეთ, გავიხსენოთ ზიკო. ან, თუნდაც, რიველინო...

მენოტი: ჰო, მას თეთრ პელესაც კი უწოდებდნენ.

ბრაზილიური ფეხბურთის აწმყო და მომავალი

მენოტი: ბრაზილიურ ფეხბურთზე რაღას მეტყვი? მართალი გითხრა, ძალიან აგერიათ საქმეები. იმის მაგივრად, რომ ისტორიულ ხაზს პატივი სცენ და მიჰყვნენ, ბრაზილიელები საფეხბურთო დაბნეულობამ შეიპყრო. წავიდნენ პელე, გერსონი, ტოსტაო და მათი თაობის სხვა ვარსკვლავები, ახლა მწვრთნელებმა აღარ იციან რა გზას დაადგნენ. ეს მხოლოდ თქვენ როდი გჭირთ, გერმანელებსაც იგივე დაემართათ — წავიდნენ ბეკენბაუერი, მიულერი, ოვერატი...

პელე: დიახ, გერმანელთა თამაში რომ ვნახე, გაწბილებული დავრჩი.

მენოტი: როცა ვარსკვლავები აღარ ჩანან, კოლექტიური თამაშის გარდა გამოსავალი აღარაა. იბადება ეჭვები: ვის მივბაძოთ, 1970 წლის ბრაზილიას თუ 1974 წლის გერმანიას? აი, სწორედ რწმენის უქონლობა ქმნის პრობლემებს ბრაზილიაში. ისტორიის დავიწყება არ შეიძლება, ბრაზილიურ ფეხბურთს კი უმდიდრესი ისტორია და საკუთარი საფეხბურთო ფილოსოფია გააჩნია. მწვრთნელს მხოლოდ ფეხბურთელის არჩევა შეუძლია და არა მისი გარდაქმნა. შეუძლებელია ნიჭიერისაგან მხოლოდ მებრძოლის მიღება. რა თქმა უნდა, მწვრთნელი უნდა ცდილობდეს ნიჭიერ ფეხბურთელში მებრძოლის თვისებები აღზარდოს, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს ფეხბურთელის შინაგანი ბუნება, ის, რაც მის საფუძველს წარმოადგენს. უფრო მეტიც, მწვრთნელი მხარში უნდა ამოუდგეს მის მიერვე არჩეულ ფეხბურთელს, ისე კი არა, დღეს ათამაშოს, ხვალ კი ისევ სათადარიგოში უკრას თავი. ასე ხომ ფეხბურთელი დაკარგავს საკუთარ პიროვნებას? ამას გარდა, არ შეიძლება ერთდროულად ნაკრებისა და საკლუბო გუნდის მწვრთნელობა. ამ დროს მწვრთნელი სხვა ფეხბურთელებს მხოლოდ მაშინ აკვირდება, როცა ისინი მის გუნდს ხვდებიან. ასე რომ, მათ შესახებ სხვათა აზრებით მსჯელობს და ნაკრებში მათი მიწვევისას შეიძლება შეცდეს.

პელე: რა თქმა უნდა, ნაკრების მწვრთნელი მხოლოდ ნაკრებს უნდა წვრთნიდეს.

მენოტი: ბრაზილიელებს დღესაც 1970 წელი ჰგონიათ. მაშინ გუნდში 5-6 დიდი ფეხბურთელი კმაროდა.

პელე: საქმე ის არის, რომ წლების მანძილზე ბედი გვწყალობდა, თანაბარი დონის ბევრი მოთამაშე გვყავდა. წავიდა დიდი და მოვიდა კლოდოალდო, წავიდა ზიკო — მოვიდა გერსონი. დღეს ასე აღარ ხდება. არადა, როგორ გვჭირდება, როგორ გვწყურია ფეხბურთელები!

მენოტი: ბრაზილიელი ჟურნალისტებიც ბევრს სცოდავენ. ყველა ახალბედის შედარება პელესთან ფეხბურთს კარგს არაფერს მოუტანს. მაგრამ მჯერა, რომ ბრაზილია გამოერკვევა და თავის ადგილს დაუბრუნდება. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, როგორც ბრაზილია, ისე არგენტინა ხუთ-ხუთ ისეთ ნაკრებს შეადგენენ, რომ მათ ვერავინ დაამარცხებს.

ესპანურიდან თარგმნა
გ. ცქიტიშვილმა.

«სპორტლოტო»

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-18 ტირაჟები:

„სპორტლოტო 6-49“-დან:

პირველი: 5 (ბადმინტონი), 6 (კალათბურთი), 8 (კრივი), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 37 (სროლა). შეღავათიანი ბურთულა — 13 (საწყლოსნო თხილამურები).

მეორე: 13 (საწყლოსნო თხილამურები), 14 (ფრენბურთი), 23 (მძლეოსნობა), 26 (მოტობურთი), 44 (ფიგურული სრიალი), 47 (ჰოკეი ბურთით). შეღავათიანი ბურთულა — 8 (კრივი).

„სპორტლოტო 5-36“-დან:

პირველი: 11 (ტანვარჯიში), 18 (მძლეოსნობა), 32 (ფარიკაობა), 35 (ბალახის ჰოკეი), 36 (შაიბიანი ჰოკეი).

მეორე: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 9 (წყალბურთი), 17 (ციგურები), 19 (სათხილამურო რბოლა), 23 (წყალში ხტომა).

(საქდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 02167